

თიბისი ბანკი ვაჭრობის დაფინანსების ხელშეკრულებას აწერს ხელს

თბილისი, 12 აპრილი, 2011 – დღეს თიბისი ბანკმა ხელი მოაწერა აზიის განვითარების ბანკთან ხელშეკრულებებს ვაჭრობის დაფინანსების შესახებ. გაფორმებული დოკუმენტი ხელს შეუწყობს ვაჭრობის სექტორის სტიმულირებას და საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის სტრატეგიული მაგისტრალის, როლის გაძლიერებას.

თიბისი ბანკისთვის ეს იქნება აზიის განვითარების ბანკთან გაფორმებული პირველი ხელშეკრულება, რომელიც შემდგომი აქტიური და გრძელვადიანი თანამშრომლობის საფუძველი იქნება.

აზიის განვითარების ბანკიც საქართველოში პირველად იწყებს ამ სახის თანამშრომლობას, რომელიც განხორციელდება, როგორც აზიის განვითარების ბანკის ვაჭრობის დაფინანსების პროგრამის ნაწილი.

ამ პროგრამის ფარგლებში, ბანკების საშუალებით ხდება გარანტიების და სესხების გაცემა, გარდამავალ ეტაპზე მყოფ წევრ სახელმწიფოებში საერთაშორისო ვაჭრობის ხელშესაწყობად. სულ, 2010 წელს, ვაჭრობის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 2.8 მლრდ დოლარის ოდენობის სავაჭრო ოპერაციები დაფინანსდა.

თიბისი ბანკის ვაჭრობის დაფინანსება ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, დღევანდელი მდგომარეობით, ამ სექტორში გაცემული სესხების ჯამური პორტფელი შეადგენს 351 მილიონ ლარს, ხოლო, კონკრეტულად, აკრედიტივებისა და გარანტიების პორტფელი 54 მილიონ ლარს აღწევს.

აზიის განვითარების ბანკის რესურსი სწორედ ამ მიმართულებით დაფინანსების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. იგი საშუალებას იძლევა დავაფინანსოთ იმპორტის და ექსპორტის ტრანზაქციები საქართველოსა და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას შორის და, ასევე, სხვა წევრ ქვეყნებს შორის

საქართველო მდებარეობს ევროპის და აზიის მსხვილი ბაზრების გზაჯვარედინზე. ეს ფაქტორი კარგ შესაძლებლობებს უქმნის ქვეყანას იმისათვის, რომ ორ რეგიონს შორის მზარდი ვაჭრობიდან მიიღოს ხელსაყრელი შედეგები. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართული ბანკები გაზრდიან ვაჭრობის დაფინანსება, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ კომპანიებს, განახორციელონ მათთვის აუცილებელი საქონლის იმპორტი და სხვა პროდუქტის ექსპორტი.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ ეკონომიკური კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ტიღერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ ტიღერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3